ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ სიუ ბარეტს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

კორპორატიულ დირექტორს

ბატონ ალისტარ კლარკს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

ტრანსპორტის გუნდის უფროს ბანკირს

ქალბატონ ელენა გორდეევას

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში უფროს მრჩეველს

ბატონ ფრედერიკ ჯოვანეტის

30 დეკემბერი, 2010 წ.

მ ი მ ა რ თ ვ ა

მოგმართავთ ავჭალის აგარაკებზე მცხოვრები მოსახლეობა. ჩვენ ვცხოვრობთ იმ ტერიტორიაზე, სადაც დაგეგმილია ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის დაგეგმილი სარკინიგზო ხაზი უშუალოდ არ კვეთს ჩვენს საცხოვრებელ ტერიტორიებს, მაგრამ ჩვენი საცხოვრებელი სახლები რჩება ძალიან ახლოს რკინიგზასთან (დაახლეობით 30-50მ).

შპს. "საქართველოს რკინიგზისა" და მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი ემსახურება სახელმწიფო ინტერესებს, თუმცა ვთვლით, რომ ეს არ უნდა მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე და სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ჩვენი ინტერესები.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტში პირდაპირ არის მითითებული, რომ აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვნად შეამცირებს რკინიგზის ფუნქციონირებით გამოწვეულ ეკოლოგიურ

პროექტის განხორციელების ერთ–ერთ მთავარ მიზეზად დასახელებულია სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირების არამიზანშეწონილობა დასახლებული პუნქტების გავლით. მართლაც, შპს. „საქართველოს რკინიგზა“ ძირითადად აწარმოებს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სატრანზიტო გადაზიდვებს აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან შავი ზღვის პორტებისაკენ. ეს არის სახიფათო ტვირთი, რომლის გადაზიდვა მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე დაუშვებელია. სწორედ ეს წარმოადგენს დაგეგმილი ახალი სარკინიგზო ხაზის გასწვრივ (ავჭალის დასახლებაში) მდებარე მიწის ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების გაუფასურების მიზეზს, რის გამოც ვითხოვთ, რომ მოხდეს ახალი სარკინიგზო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (ავჭალის დასახლება) კუთვნილი ქონების გაუფასურებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში (მშენებლობა, ექსპლუატაციაში შესვლა) ჩვენთვის აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრება იქნება შეუძლებელი გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობების შექმნის გამო, ვინაიდან პროექტში არ არის სათანადოდ შესწავლილი ეკოლოგიური და უსაფრთხოების საკითხები აღნიშნულ ტერიტორიაზე (მოსახლეობა რჩება 30-50 მეტრში რკინიგზის ახალი ხაზიდან).

პროექტის გავლენის არეალი სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

- **ჰაერის დაბინძურება:** ძირითადი გავლენა მოსალოდნელია როგორც მშენებლობის პროცესში, ისე რკინიგზის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგაც. პროექტში პირდაპირ არის მითითებული, რომ სამშენებლო უბნიდან 100 მეტრის რადიუსი ძირითადი ზეგავლენის არეალია;
- **ვიბრაცია:** მატარებლების მოძრაობისას ზეგავლენის არეალი ვრცელდება რკინიგზის ხაზიდან 100 მეტრში;
- **ხმაური:** ზეგავლენის არეალი გავრცელდება ახალი რკინიგზის ხაზის გასწვრივ 600-700 მეტრის მანძილზე;
- **წყალი:** პროექტის თანახმად რკინიგზის ახალი ხაზი ავჭალის დასახლებაში გადაკვეთს რამდენიმე ბუნებრივ წყლის ობიექტს (მცირე მდინარე, ხევი) და მილსადენს, მათ შორის თბილისის წყალმომარაგების მთავარ მილსადენს. ავარიისა და მათი დაზიანების შემთხვევაში მოხდება ჩვენი საცხოვრებელი სახლებისა და ეზოების დატბორვა, რის გამოც გაუსაძლისი გახდება ჩვენი ამ ტერიტორიაზე ცხოვრება.

თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ავჭალის ტერიტორიაზე დაგეგმილმა რკინიგზამ უნდა გადაკვეთოს ცენტრალური მილსადენი, რომლითაც ჟინვალის წყალსაცავიდან სასმელი წყალი მაღალი წნევით მიეწოდება თბილისს. ამ მილსადენზე დამოკიდებულია თბილისის უდიდესი ნაწილის მომარაგება. აღნიშნული მილსადენი ზემოქმედების ქვეშა ხვდება მშენებლობის დროსაც, ვინაიდან ზედ იმოძრავებს მძიმე სამშენებლო ტექნიკა. პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში (ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება) ეს საკითხი საერთოდ არ არის განხილული. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში საუბარია მხოლოდ თბილისის ხელოვნურ წყალსაცავზე, ე.წ. "თბილისის ზღვაზე", რომელიც თბილისის წყლით მომარაგების სხვა წყაროა, რომელზეც დამოკიდებულია უფრო ნაკლები ადამიანი,

ვიდრე ჟინვალის წყალსაცავებზე, საიდანაც ზემოხსენებული მილსადენის საშუალებით მიეწოდება წყალი თბილისს.

გარდა ზემოთაღნიშნული პრობლემებისა, ჩვენ განვიცდით ინფორმაციის ნაკლებობას როგორც პროექტის ზუსტი ადგილმდებარეობის (ავჭალის მონაკვეთი), ისე ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სხვა საკითხების შესახებაც. მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი მცდელობისა, სამწუხაროდ, ვერ შევძელით მოგვეპოვებინა ინფორმაცია საქართველოს რკინიგზიდან და თბილისის მერიიდან ჩვენთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ახალი რკინიგზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხები, ქონების გაუფასურების გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხები, ეკოლოგიური საკითხები და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროექტის შესახებ საჯარო განხილვების დროს ზემოთაღნიშნული საკითხები დაყენებულ იქნა მოსახლეობის მიერ, რაზეც სამწუხაროდ ადექვატური პასუხი ვერც ბანკის წარმომადგენლისა და ვერც პროექტის კონსულტანტების მიერ ვერ მივიღეთ, გარდა ზოგადი დაპირებისა რომ პროექტის საბოლოო დოკუმენტში ეს საკითხები იქნებოდა გათვალისწინებული. ამას გარდა, უსაფრთხოების საკითხების შესწავლა „საქართველოს რკინიგზას“ დაევალა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში გათვალისწინებული პირობებითაც, თუმცა ჩვენთვის არ არის ცნობილი რამდენად იქნა შესრულებული აღნიშნული პირობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური ახსნა-განმარტება ყველა იმ საკითხზე (უსაფრთხოება, ქონების გაუფასურება, ინფორმაციის ნაკლებობა, საცხოვრებლად გაუსაძლისი პირობები), რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

პატივისცემით,

ავჭალის აგარაკებზე მცხოვრები მოსახლეობა:

1. [illegible] (+995 77) 21 20 72
2. [illegible] 890-86-91-09
3. [illegible] 890-22-17-28
4. [illegible] 890-91-62-65
5. [illegible] 890-50-34-90
6. [illegible] 858-92-20-79
7. [illegible] 858-40-00-29